

Imposters by al-Hariri and its Translations
ალ-ჰარირის „თაღლითობანი“ და მისი თარგმანები

Nino Dolidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
(Georgia)

ნინო დოლიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
(საქართველო)

Abstract:

In 2020 the *Imposters* by prominent Arab author al-Hariri (1054-1122) was issued by the NYU press. The masterpiece of Arabic Literature has already been translated into several languages, but Michael Cooperson presented absolutely different version.

In the paper I try to analyze the attitude of the translators to the original text in a diachrony. How *Maqamat* of al-Hariri were perceived in different cultures? What was / is the priority while translating them? What has been changed from the Middle Ages to the globalization era?

Persian, Hebrew, German and Russian translations of the *Maqamat* are imitations, while Latin, French and previous English translations basically were paraphrase / metaphrase. As al-Hariri's language is too complicated, Persian and Jewish translators in the 12th –13th centuries tried to prove that their languages were not of less importance than the holy language and the lingua franca of that time. As for European translations, *Orientalistic* attitude to the Arabic piece of literature meant to use it for the own interests. Imitations of the *Maqamat* were used for enrichment of receiving cultures, exact translations – to teach Arabic or to make some linguistic researches. All of them were domestications.

In post-orientalist times Cooperson first tried to preserve the soul of the origin. In his translation, which is more *transculturation*, one can see his great respect to the Arabic culture. But for the American translator the most important thing in the *Maqamat* is the linguistical firework in it. Cooperson doesn't see original text as a fictional work with its irony and critic of the Arab society. He doesn't assess it as a "pre-novelistic" literary piece. He

doesn't notice its fictional hero's inner duality. He translates only the form. As a result, in the newest translation the possibilities of the modern global English are well represented, while important features of the origin are lost.

Al-Hariri was not a great poet, nor a great improviser, but his *Maqamat*, as a celebration of the language and style, became the text, which has been translated to demonstrate the possibilities of different languages. In the post-orientalist epoch, it's the celebration of contemporary *lingua franca*.

Keywords: Post-orientalist epoch, Classical Arabic Literature

საკვანძო სიტყვები: პოსტორიენტალისტური ეპოქა, კლასიკური არაბული ლიტერატურა

2020 წელს ნიუ იორკის უნივერსიტეტის გამომცემლობამ ალ-ჰარირის (1054-1122) „მაკამების“ თარგმანი გამოსცა. კლასიკური არაბული მწერლობის მწვერვალად მიჩნეული ეს ძეგლი, ბუნებრივია, აქამდე უკვე არაერთ აღმოსავლურ თუ დასავლურ ენაზე ითარგმნა. კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლოს-ანჯელესში) ასოცირებულმა პროფესორმა მაიკლ კუპერსონმა არსებულისგან განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა. წინამდებარე ნაშრომში შევეხები მე-12 ს-ის შედეგის ებრაულ, სპარსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ თარგმანებს და შევეცდები, დიაქრონიაში გავაანალიზო მთარგმნელების დამოკიდებულება სათარგმნი მასალის მიმართ. როგორ აღიქვამდნენ არაბი კლასიკოსის ტექსტს სხვადასხვა კულტურასა და ეპოქაში? რა იყო და არის პრიორიტეტი მისი თარგმნისას? რით გამოირჩევა 21-ე ს-ის თარგმანი? რა შეიცვალა შუა საუკუნეებიდან გლობალიზაციის ხანამდე? შეიძლება თუ არა, რომ მაიკლ კუპერსონის ნამუშევარი ორიგინალის მხატვრულ ადეკვატად მივიჩნიოთ? ვიდრე ამ შეკითხვებს ვუპასუხებდე, მოკლედ შევეხები იმას, თუ რას წარმოადგენს მაკამები და როგორ შეიქმნა ალ-ჰარირის მაკამური ციკლი.

მაკამა როგორც მხატვრული ფორმა მე-10 ს-დან არსებობს არაბულ ლიტერატურაში. ეს არის გართიმული პროზით (არაბ. *საჟ'ი*) დაწერილი მოკლე მოთხრობა მოხეტიალე თაღლით პერსონაჟზე.

ტექსტში ალაგ-ალაგ ჩართულია ან სალექსო ციტატები, ან ავტორის ლექსები. შუა საუკუნეებში იქმნებოდა ათეულობით მაკამისგან შემდგარი ციკლი, სადაც ცალკეულ ნოველებს ორი მთავარი პერსონაჟი – მატყუარა გმირი და ამზის მთხრობელი აერთიანებდა. მაკამების თაღლითი, თუმცა განათლებული პროტაგონისტი ცოდნით, გამჭრიახობით, მჭევრმეტყველებისა თუ გარდასახვის უნარით ცდილობს ადამიანების მოტყუებას, რათა ყოველდღიური სარჩო მოიპოვოს. ჩადენილი საქციელის გამო მას ყოველ ჯერზე საყვედურობს მთხრობელი, რასაც მთავარი გმირის თავის მართლება მოსდევს. ქადაგებებისა და ბრძნული შეგონებების გარდა მაკამები შეიცავს შედარებით მარტივი ენით დაწერილ დიალოგებს, ანექდოტებს, ეპისტოლეებს, ნაწყვეტებს ძველი არაბული პოეზიიდან, ყურანიდან, *ჰადისებიდან*.¹ ერთი სიტყვით, ის ტიპური მედიევისტური კომპილაციაა. მაკამების მთავარ ღირსებად ჩახლართულ სტილსა და მაღალფარდოვან ლექსიკას მიიჩნევდნენ, რაც ასევე გაბატონებულ ეთიკურ ნორმას შეესაბამებოდა. მთავარი იყო არა სიუჟეტი, რომელიც მხოლოდ დიდაქტიკის გამო თუ იქნებოდა ფასეული, არამედ ფორმა, გამოხატვის საშუალებები: მაღალფარდოვანი ლექსიკა, კალამბურები, ალუზიები, პარანომაზიები, კრიფტოგრამები, პალინდრომები, ლიპოგრამები, მხოლოდ უწერტილო ან მხოლოდ წერტილიანი (ან ერთის გამოტოვებით) ასოებისგან შემდგარი ფრაზები და სხვა. ჟანრის საუკეთესო წარმომადგენლად მიჩნეულია აბუ მუჰამად ალ-კასიმ იბნ ალი იბნ მუჰამად იბნ უსმან იბნ ალ-ჰარირი ალ-ბასრი, რომლის 50 მაკამისგან შემდგარმა კრებულმა მე-12-მე-13 სს-შივე არნახული პოპულარობა მოიპოვა. რთული ენისა და ჩახლართული სტილის მიუხედავად ის ფართოდ გავრცელდა – ორიგინალის უამრავი ნუსხა გაკეთდა ინდოეთიდან მოყოლებული ესპანეთის ჩათვლით. ალ-ჰარირის მაკამები ყურანის შემდეგ უპოპულარულესი საკითხავი გახდა.² მე-12 ს-ში გამოჩნდა პირველი თარგმანებიც.

მაკამებმა თავიდანვე მიიქცია სპარსელთა ყურადღება – ისინი შვიდასი წლის განმავლობაში ინტერესდებოდნენ და სპარსულადაც ქმნიდნენ ამ ჟანრის ნაწარმოებებს. დღეისათვის მაკამების ათი ირანელი ავტორია ცნობილი (ავდი, 1989, გვ. 321). ალ-ჰარირის კრებული

¹ *ჰადისები* – გადმოცემები მოციქულ მოჰამადის მოღვაწეობის შესახებ (არაბ. *ჰადის* – მოკლე ნარატივი, ერთსიუჟეტიანი ამბავი).

² 180 წლის განმავლობაში სრულად 30 საჯარო შეხვედრაზე წაიკითხეს (უაქსი, 2003, გვ. 184).

სპარსულად ალ-ჰამიდინ (+1186) თარგმნა, მერე კი თავადაც დაწერა მაკამები. მის მიერ შესრულებული თარგმანი იმიტაციაა – ცდილობდა, არაბ ავტორს არ ჩამოვარდნოდა მაღალმხატვრული პროზაული ტექსტის შექმნაში, მასზე აღმატებულებას უნდა ყოფილიყო – სპარსულიც ხომ დიდი შესაძლებლობების, ლიტერატურული ტრადიციების, მდიდარი ლექსიკისა თუ გამოხატვის მრავალფეროვანი საშუალებების მქონე ენა გახლდათ. როგორც ჩანს, შინაარსი ირანელი მიმბაძველისთვის არ იყო მნიშვნელოვანი. ალ-ჰამიდის მაკამები სუფიურ, ფილოსოფიურ თემებს ეხება და არა მაწანწალა გმირის თაღლითობის ამბებს. ალ-ჰამიდინ გამოიყენა მაკამის ფორმა. მაკამა როგორც ჟანრი სპარსულ მწერლობაში ვერ განვითარდა, მაგრამ ფიქრობენ, რომ სწოედ მისი გავლენა უნდა იყოს პროზისა და პოეზიის მონაცვლეობა სპარსული ლიტერატურის არაერთ ნიმუშში (ავდი, 1989, გვ. 321).

ალ-ჰარირის მაკამების ებრაული თარგმანი სახელწოდებით *თაჰქემონი* (ებრ. „იყავი ჭკვიანი“) ესპანეთში მოღვაწე რაბინ, მთარგმნელმა, პოეტმა და მოგზაურმა ალ-ჰარიზიმ (1165-1225), სავარაუდოდ, ალექსანდრეში შეასრულა. ის ორიგინალს „შემამინებელს“ უწოდებდა. ალ-ჰარიზი *ძველი აღთქმის* ლექსიკას იყენებდა. მაშინ ებრაული როგორც სასაუბრო ენა თითქმის მკვდარი იყო. ის ფიქრობდა, რომ არაბულთან შედარებით ბევრად შეზღუდული სიტყვების მარაგი მუშაობაში ხელს არ შეუშლიდა. ებრაელი მთარგმნელიც ეპაექრებოდა ალ-ჰარირის – იმის დამკვიცვლა სურდა, რომ მისი „წმინდა ენა“ არანაკლები იყო. მან პოეზია პოეზიად თარგმნა, გართმული პროზა – პროზად, არც ალუზიებს აუარა გვერდი, პალინდრომებიც შექმნა, გრაფიკულ ხრიკებსაც გამოუძებნა ეკვივალენტი. თუმცა მხოლოდ სათაური კი არ შეცვალა, არაბული საკუთარი სახელები ბიბლიური სახელებით ჩაანაცვლა. ასევე შესავალში აღნიშნა, რომ წერტილიანი და უწერტილო ასოების მონაცვლეობა (რაც ორიგინალშია) იუდეველთა ღვთის ენას არ ახასიათებს. მაკამის ფორმა ვერც იუდაურ კულტურაში დამკვიდრდა, თუმცა *თაჰქემონი* როგორც შესანიშნავი თარგმანი-იმიტაცია, ებრაული ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენად იქცა.¹

ევროპაში ალ-ჰარირის მაკამების ტექსტმა ჯვაროსნული ლაშქრობებისას შეაღწია. დანიელი ა. შულტენსის (+1750) ექვსი მაკამის ლა-

¹ ამის დასტურია ისიც, რომ 2001 წელს აშშ-ში ამ წიგნის ინგლისური თარგმანისთვის დევიდ სეგალმა ეროვნული ებრაული პრემია მიიღო. Judah Alharizi, *The Book of Tahkemoni*, translated by David Simha Segal (Liverpool: Liverpool University Press, 2003)

თინური თარგმანი ლ. ჩაპელოუს პირველ ინგლისურ (1767) თარგმანს დაედო საფუძვლად. ჩაპელოუს ყველა სიტყვის ყველა შესაძლო ვარიანტი ჰქონდა თარგმნილი, რითაც ინგლისურის შესაძლებლობებს უსვამდა ხაზს. შუა საუკუნეების აღმოსავლელი მთარგმნელებისგან განსხვავებით, მას შინაარსიც მნიშვნელოვნად მიაჩნდა. ფიქრობდა, მაკამებში მიმოფანტული შეგონებები ადამიანებს უკეთესებს გახდიდა. მის თარგმანს სხვა ინგლისურენოვანი ზედმიწევნითი თარგმანები მოჰყვა. თ. ჩენერი (1867) მაკამებს მიუდგა როგორც არაბული ენის სახელმძღვანელოს. მისი ლექსიკური თარგმანი მოგვიანებით სთეინგასმა დაასრულა (1898). ჩაპელოუს, ჩენერისა და სთეინგასის ნამუშევარი სავსე იყო კომენტარებითა და განმარტებებით. თ. პრესტონი (1850) შეეცადა ინგლისური იმიტაციის შექმნას, თუმცა ორიგინალის სამი მეოთხედი გამოტოვა. ევროპაში ალ-ჰარირის მაკამები თავიდანვე უთარგმნელ ძეგლად მიიჩნიეს. მისი თარგმნის შეუძლებლობას პირველივე ფრანგული ვარიანტის ავტორი დე პარადი (+1799) უსვამდა ხაზს. 1822 წელს ცნობილმა ორიენტალისტმა ს. დე სასიმ გამოსცა მაკამების კრიტიკული ფრანგული თარგმანი, რომლის შესავალშიც აღნიშნა, ამ კრებულში მთავარია ფორმა და არა შინაარსი. ორიგინალის ზუსტი გადმოტანა საგანგებო განმარტებებს მოითხოვს. თუ მთარგმნელი მათ არ ახსნის, მკითხველი აზრს ვერ გაიგებს და თუ ახსნის, ეს მისი ნაშრომი უფრო გამოვა, ვიდრე ორიგინალის ავტორისო (de Sacy, 1822, გ. ix). ევროპელებს შეეძლოთ, ლექსიკით მდიდარი ეს ტექსტი არაბული ენის სასწავლებლად გამოეყენებინათ.

1826 წელს გამოიცა გერმანელი პოეტის ფ. რიუკერტის (+1866) თარგმანი სათაურით „აბუ ზეიდ სარუჯელის მეტამოფროზები“. მთარგმნელმა მოახერხა, ალ-ჰარირის ენის ხატოვანი სამკაულების ადეკვატი გამოეძებნა გერმანულში, თუმცა შვიდი მაკამა გამოტოვა (50-იდან 43-ია) და არც სამეცნიერო კომენტარებზე უზრუნია. ფ. რიუკერტმა აკადემიური თარგმანი კი არ შეასრულა, ტექსტი გააგერმანულა. საინტერესოა ლ. ვენუტის მოსაზრება თარგმანის დისკურსის შესახებ მე-19 ს-ის გერმანიაში (ვენუტი, 1995, გვ. 10). მაშინ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გერმანული ენის სიცოცხლისუნარიანობის, შესაძლებლობების წარმოჩენას, მის გამდიდრებას. ამ კონტექსტში შეიძლება ბუნებრივად აიხსნას რიუკერტის მიდგომა. დე სასის მსგავსად, ისიც ფიქრობდა, რომ მაკამები როგორც ჰომეროსისა და შექსპირისგან განსხვავებული, სპეციფიკური აღმოსავლური ნაწარმოები სიტყვასიტყვითი თარგმანის შემთხვევაში ევროპელებისთვის საგანგე-

ბო განმარტებების გარეშე გაუგებარი იქნებოდა. რიუკერტმა მოიშინა-ურა, გადააკეთა და გადაამუშავა ორიგინალი, რის შედეგადაც მან უფრო გერმანული გაამდიდრა (Cooperson, 2020, გვ. XXXV). ძმები გრი-მების ლექსიკონში (1838-1961) მთარგმნელის მიერ გამოყენებული ბევ-რი სიტყვა მოხვდა, მათ შორის ზოგიერთს ალ-ჰარირის მაკამებიდან მოხმობილი მაგალითიც ახლავს. რაც შეეხება რუსულ თარგმანს, ის 1978 წელს გამოიცა. დოლინინასა და ბორისოვის მიერ დაწყებული სამუშაო კირპიჩენკომ დაასრულა. აქაც ლექსი ლექსადაა თარგმნილი, გართმული პროზა – რითმოვან პროზად, თუმცა ლექსიკა ბევრ ადგი-ლას შეცვლილია, რადგან მოძრავი მახვილის გამო რთულია რუსულში რითმის შენარჩუნებაც და ყოველი სიტყვის ზედმიწევნით თარგმნაც. გადაკეთებულია მთელი რიგი პასაჟები, ზოგიერთი ეპიზოდი კი მთლიანად გამოტოვებულია.

მამასადამე, ალ-ჰარირის მაკამების სპარსული, ებრაული, გერმა-ნული და რუსული თარგმანები არის უფრო იმიტაციები / იმპროვი-ზაციები, ხოლო ლათინური, ფრანგული და აქამდე შესრულებული ინგლისური თარგმანები – პარაფრაზა / მეტაფრაზა (ანუ სიტყვის / წი-ნადადების დონეზე შესრულებული თარგმანი). იმიტაციებმა მიმღები კულტურები და ენები (სპარსული, ებრაული, გერმანული) გაამდიდ-რა, რასაც იმთავითვე ითვალისწინებდა ამ ენებზე მთარგმნელთა მიდ-გომაც სათარგმნი მასალის მიმართ. ირანელი, ებრაელი და გერმანელი მთარგმნელები შინაგანად ეპაექრებოდნენ მაკამების ავტორს – მთელი აქცენტი საკუთარი ენის შესაძლებლობების წარმოჩენასა თუ გამრ-ვალფეროვნებაზე ჰქონდათ გადატანილი. რუსი მთარგმნელები, ზოგა-დად, ბევრ რამეს ცვლიან არაბული ტექსტების თარგმნისას, ეს ცალკე განხილვის თემაა.¹ რაც შეეხება (ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ) სიტყვასიტყვით თარგმანებს, ხელსაყრელი აღმოჩნდა მათი ჩართვა არაბულის სწავლების პროცესში. ეს ნამუშევრები საუნივერსიტეტო აუდიტორიებს ვერ გასცდა და მიმღებ კულტურებში ვერ გავრცელდა. ფაქტია, რომ ყველა შემთხვევაში მთარგმნელთა მიდგომას მდიდარი ლიტერატურული ენით დაწერილი ტექსტის მიმართ „სათავისოდ გამოყენება“ განსაზღვრავდა. უბადლო კლასიკური არაბულით შესრუ-ლებული ეს ძეგლი მე-17-მე-18 სს-ის ევროპაში ძველებრაული ტექს-ტების გასაშიფრადაც კი გამოიყენებოდა. ზემოთ ჩამოთვლილ მთარგ-

¹ მსგავსი ტენდენცია აღმოსავლური ენებიდან შესრულებულ სხვა რუსულენოვან თარგმანებშიც შეინიშნება (მაგალითად, იხ.: მარგველაშვილი, 1991, გვ. 155-160)

მწელთაგან არც ერთის დამოკიდებულებაში არ სჭარბობდა სურვილი, მაკამები საკუთარ კულტურაში მაქსიმალური ავთენტურობით, ორიგინალის სულის წვდომითა და შენარჩუნებით, მისი სახასიათო შტრიხებისა და განსაკუთრებულობის ჩვენებით შემოეტანა.

ამგვარ დამოკიდებულებას რჩეული კლასიკური არაბული ტექსტის მიმართ თავისი სოციალური, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტი გააჩნდა. შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში შექმნილი არაბთა იმპერია სპარსულ, ებრაულ თუ თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფ სხვა კულტურებს საკუთარ ჩრდილში აქცევდა, რაც ირანელთა, იუდეველთა და ა.შ. შინაგან პროტესტს იწვევდა, რადგან მათ მნიშვნელოვანი მიღწევები არაბების გამოჩენამდე გაცილებით ადრე ჰქონდათ. გარდა ამისა, არაბული იყო არა მხოლოდ პოლიტიკურად დაწინაურებული ქვეყნის სახელმწიფო ენა (ფაქტობრივად, იმ ეპოქის lingua franca), არამედ ღმერთის ენაც, რომლითაც ალაჰმა თავის მოციქულზე ყურანი გარდამოავლინა. არაბულის ამგვარი პოლიტიკურ-რელიგიური მნიშვნელოვნების ფონზე ბუნებრივია, რომ ალ-ჰამიდი სპარსული ენის კულტურული უპირატესობის დამტკიცებას შეეცდებოდა, ხოლო ალ-ჰარიზი – ებრაულის როგორც ღვთის უძველესი ენის წარმოჩენას. ალ-ჰარიზის მაკამები თავისი „ლინგვისტური აკრობატიკით“ იქცა ტექსტად, რომელთან „გამკლავებაც“ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არაბული იმპერიის ფონზე მარგინალიზებული კულტურების წარმომადგენელთათვის. ირანელი და ებრაელი მთარგმნელების მიზანი ის კი არ იყო, მაკამები როგორც ერთგვარი ლიტერატურული სიახლე დაენერგათ თავიანთ მწერლობაში, არამედ ის, რომ მის ავტორს გაჯიბრებოდნენ.

ევროპული თარგმანები სულ სხვა კონტექსტში გაჩნდა. ჯვაროსნული ლაშქრობების ფაქტორი უკვე ნათელს ხდის დასავლეთის პოლიტიკურ-კულტურულ უპირატესობას. ქილიტოს შეფასებით, ევროპის ჩვილმა საზოგადოებამ აღმოსავლეთიდან გატანილ განძს შორის წაიღო მაკამები როგორც საუნჯე, ოქროს საბადო (1993, გვ. 165), და, ალბათ, როგორც კულტურული ნადავლიც. *ორიენტალიზმის*¹ კონტექსტში ბევრს წერენ იმის შესახებ, თუ როგორ იყენებდა დასავლური ლიტერატურა იმჟამად გაცილებით უფრო მდიდარ არაბულ და

¹ ორიენტალიზმი – დასავლეთში გაჩენილი კომპლექსური ცოდნა აღმოსავლეთის შესახებ. ეს ცოდნა მოიცავს ანთროპოლოგიას, სოციოლოგიას, ისტორიას, ფილოლოგიას. ედვარდ საიდის „ორიენტალიზმის“ (Said E.W., Orientalism, Pantheon Books, 1978) გამოსვლის შემდეგ სიტყვამ უარყოფითი კონოტაცია შეიძინა.

სპარსულ პოეზიასა და ფოლკლორს. ამგვარი „გამომყენებლობითი“ დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის მიმართ, თან გარკვეული უპირატესობის შეგრძნებით, საუკუნეთა განმავლობაში ახასიათებდა ევროპულ დისკურსს, რაც ბუნებრივად თარგმანებზეც აისახა. აღმოსავლური ენებიდან შესრულებული თარგმანები უმეტესად იყო იმიტირება ან გადაკეთება-გადამუშავება მიმღები კულტურების გემოვნების გათვალისწინებით. დღეს ცალკე შესწავლის საგანიც კია, რა და რატომ შეიცვალა იმხანად შესრულებულ დასავლურ თარგმანებში. ეს ტენდენცია კოლონიურ ეპოქაშიც გაგრძელდა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მაკამების ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ლათინური თარგმანები ან იმიტაციაა, ან მეტაფრაზა / პარაფრაზა. პირველ შემთხვევაში, მთარგმნელი ცდილობს ისე შეცვალოს ორიგინალი, რომ თავის კულტურულ სივრცეს მოარგოს, მეორე შემთხვევაში კი, მთარგმნელ ენაზე ზედმიწევნით გადატანილი დედანი, რომელსაც ფაქტობრივად დაკარგული აქვს მხატვრული ღირებულება, ენის სწავლებისთვის თუ სააუდიტორიო კითხვისთვის, ან მინიმუმ, ლინგვისტური კვლევისთვის გამოიყენოს.

გამოდის, რომ ალ-ჰარირის მაკამების არსებული თარგმანები „მოშინაურებულია“, „მოშინაურებულ“ ან „გაფეტიშებულ“ თარგმანს კი ხშირად იდეოლოგიზირებულის ელფერი დაჰკრავს ხოლმე. პირველ შემთხვევაში მეტადაა გათვალისწინებული აღმქმელი აუდიტორიის ინტერესი – მისი მოთხოვნები, ხოლო მეორე შემთხვევაში თარგმანი უცხო / სათარგმნი ენისკენ იხრება, სათანადოდ ვერ ცვლის მას საკუთარ კულტურულ არეალში შემოსაყვანად. ადეკვატურია მხატვრული თარგმანი, რომელიც ორივე ამ უკიდურესობას აღწევს თავს. რაკი თარგმნის პროცესი წაკითხვით იწყება, ამ შემთხვევაში მთარგმნელი პირველწყაროს მის ავთენტიკურ კონტექსტში უნდა ეცნობოდეს, სწავლობდეს, აფასებდეს, შემდეგ ცდილობდეს, მინიმალური დანაკარგით გადაიტანოს ის საკუთარ კულტურულ სივრცეში. მაიკლ კუპერსონმა მაკამების აქამდე არსებული ინგლისურენოვანი თარგმანები დაიწუნა სწორედ იმიტომ, რომ არც ერთი იყო ადეკვატური, ყველა მათგანში დაკარგული იყო ორიგინალის სული. მან მიზნად დაისახა, შეექმნა ახალი თარგმანი, რომელსაც არა მხოლოდ სპეციალისტები, არამედ სხვა თანამედროვე ინგლისურენოვანი მკითხველებიც წაიკითხავდნენ. არაბული მწერლობის მკვლევარი კუპერსონი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გასცნობია მაკამებს და მოხიბლულა მისი გართმული ფრაზებით. ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობს, რომ

პირველი წაკითხვისთანავე დაფიქრდა, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი ამ საოცარი ტექსტის ინგლისურად ამეტყველება (ნადაფი, ინტერვიუ კუპერონთან, Arablit, 11. 2021) ოცდაათი წლის შემდეგ ნიუ იორკის უნივერსიტეტის (აბუ დაბიში) მიერ დაფინანსებული პროექტის „არაბული ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ ფარგლებში სწორედ მას მოუწია ალ-ჰარირის კლასიკური მაკამების თარგმანის შესრულება,¹ რითაც ოცნება აისრულა. კუპერსონი თავიდანვე მოიხიბლული იყო დედნის ენით, ამ ენის ლინგვისტური სასწაულებით და ჩანს, თარგმნის დროსაც მთელი აქცენტი ენობრივ ხრიკებზე გადაიტანა.

რაკი ალ-ჰარირის მაკამების სიუჟეტი სწორხაზოვანი და პრიმიტიულია, მაიკლ კუპერსონმა თარგმნისას უპირატესობა ფორმის შენარჩუნებას მიანიჭა. ფორმაში, ცხადია, სიტყვათა თამაში იგულისხმება. და რაკი გართიმული პროზისთვის (*საჯ'ი*) ინგლისური საკმაოდ მოუქნელია, ხოლო ჩახლართული ენა თანამედროვე მკითხველისთვის – ნაკლებ მისაღები, მთარგმნელმა გადაწყვიტა, გლობალური ინგლისურის შესაძლებლობები გამოეყენებინა. მან ორიგინალის სიტყვათა თამაში ინგლისურის ორმოცდაათ სხვადასხვა რეგისტრში გადაიტანა, გამოიყენა არა მხოლოდ თანამედროვე სალაპარაკო ინგლისური მსოფლიოს მასშტაბით (ინდური, სინგაპურული, შოტლანდიური, ნიგერიული, ახალი ზელანდიის, აფრო-ამერიკული, ესპანური და სხვ.), არამედ სხვადასხვა სლენგიცა (ლონდონის, საქმიანი მოლაპარაკების, აშშ კოლეჯის, მაწანწალების ლექსიკა...) და ინგლისურენოვანი კლასიკოსების – უ. შექსპირის, ჯ. ჩოსერის, მ. ტვენისა, ვ. ვულფის, ფ. დუგლასის, უ. გილბერტის, ჩ. დიკენსის... ენაც – კონკრეტულ ავტორთა იდიომები თუ ინგლისურენოვანი პოეტების მოდელები. მის თარგმანში წერტილიანი და უწერტილო ასოების მონაცვლეობა ფრანგულ-გერმანული წარმოშობის სიტყვების მონაცვლეობითაა ჩანაცვლებული, არაბულ-სპარსული სახელები კი ირლანდიურადაა გადაკეთებული... გადაკეთებულია არა მხოლოდ ცალკეული მაკამების სახელწოდება, არამედ მთელი კრებულის სათაურიც, რაც გამართლებული ნაბიჯიც

¹ ამ პროექტის მიზანი აქამდე შედარებით უცნობი, ე.წ. „დაცემის ხანის“ (მე-13-მე-18 სს.) არაბ ავტორთა პოპულარიზაციაა, თუმცა საერთაშორისო მთარგმნელთა კოლეგიამ სათარგმნი ტექსტების სიაში კლასიკური არაბული კანონიკური ლიტერატურის ის ნიმუშებიც შეიტანა, რომელიც თარგმნილი კი იყო, მაგრამ ახლებურ მიდგომას საჭიროებდა.

კია მიმღებ კულტურაში მისი უკეთ დამკვიდრებისთვის.¹ ყოველ მაკამას ახლავს შესავალი, განმარტებანი და გამოყენებული ლიტერატურის სია. ყველაფერია გაკეთებული იმისთვის, რომ თანამედროვე მკითხველმა მიიღოს და ჯეროვნად დააფასოს ეს ძეგლი. „თაღლითობანი“ კლასიკური არაბულის, ინგლისურისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის უბადლო მცოდნის დიდი შრომის შედეგია, თუმცა ვფიქრობ, მთარგმნელს რაღაცები ყურადღების მიღმა დარჩა.

რაში მდგომარეობს ორიგინალის სული, რომელიც თარგმანში უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული და წარმოჩენილი? პირველ რიგში, ეს თაღლითი მაწანწალა პერსონაჟია – ტიპური აღმოსავლელი, სხარტი, გაქნილი, მატყუარა აბუ ზაიდი, რომელსაც შეუძლია მთელი თავისი ცოდნა, ერუდიცია, გამოცდილება თუ ორატორული უნარები მხოლოდ ერთი ვახშმის მოსაპოვებლად გამოიყენოს. ევროპული რაციონალიზმისთვის ეს ქმედება რთული ასახსნელია. მთარგმნელთაგან არც ერთს გაუმახვილებია ყურადღება აბუ ზაიდზე როგორც შუა საუკუნეებისთვის უჩვეულო პერსონაჟზე. მედიევისტური ეთიკური ნორმის თანახმად, ავტორი ტრადიციით მიღებული ცოდნით გამოიცდებოდა და არა ახლის გამოგონებით. თუმცა ნორმატიული პოეტიკით შეზღუდულ გარემოშიც კი ალ-ჰარირიმ მოხერხა, ერთი მხრივ, იგივეობის ესთეტიკით დადგასმული ნაწარმოები შეექმნა, მეორე მხრივ, სიახლე შემოეტანა. ეს სიახლე სათანადოდ ვერც მისმა თანამედროვეებმა აღიქვეს და ვერც სხვადასხვა ეპოქისა თუ ეროვნების მთარგმნელებმა დააფასეს. ალ-ჰარირის ნოვაცია ტექსტის ფიქციურობას უკავშირდება და აქ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება აბუ ზაიდის მხატვრულ სახეს.² მაკამების ერთ-ერთი სიახლე მისი შესავალია, სადაც ავტორი აცხადებს, რომ ორივე მუდმივი პერსონაჟი, მთხრობელი და მთავარი გმირი, არის გამოგონილი: „არც ერთ იმათგანს ხალხი არ იცნობს, მათ არსებობას ყველა უარყოფს.“ – განგვიმარტავს ავტორი (ალ-ჰარირი, 1980, გვ. 11). შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში კი შეთხზული ამბავი, ფიქცია ტყუილად, სიცრუედ აღიქმებოდა (Drory, 2000, გვ. 12). მიუხედავად იმისა, რომ არაბებმა თარგმნეს არისტოტელეს „პოეტიკა“,

¹ მაშინ, როცა ტერმინი „მაკამა“ / „მაკამები“ დამატებით განმარტებას საჭიროებს, „თაღლითობანი“ თანამედროვე ინგლისურენოვან მკითხველს პირდაპირ მიანიშნებს, რომ აქ მატყუარა გმირის თავგადასავალია მოთხრობილი.

² ევროპულ მთარგმნელთაგან ერთადერთი რიუკერტი იყო, ვინც აღიარა, რომ თარგმნის პროცესში მაკამების გმირი სულ უფრო ცოცხლად დახატულ პერსონაჟად ეჩვენებოდა. იხ. ბორისოვი ვ.მ., 1987, გვ.11

მხატვრულობა მათი მწერლობის სუსტ მხარედ რჩებოდა, რაც გაბატონებული რელიგიური იდეოლოგიის გავლენით შეიძლება აიხსნას (Drory, 1994, გვ. 147). როგორც მუჰამადის ცხოვრების ამსახველ ამბებს ახლდა დამოწმებათა გრძელი ჯაჭვი (ე.წ. *ისნადი*), რომელიც მოციქულის თანამედროვეებამდე გრძელდებოდა, ისე ნებისმიერი სხვა ამბავი მოთხრობილი და დადასტურებული უნდა ყოფილიყო თვითმხილველის მიერ. მსგავსი ტრადიცია ებრაულ კულტურაშიც არსებობდა. რელიგიური თხზულებებისთვის ნიშანდობლივი ეს ნორმა შუა საუკუნეებში რატომღაც საერო ლიტერატურის ნორმაც გახდა (Drory, 1999, გვ. 229). რალა თქმა უნდა, შეიძლებოდა, სადღაც გამოგონილი ამბავიც „გაპარულიყო“, მაგრამ შესავალში ხმამაღლა გაცხადება – მე ვიგონებ ყველაფერსო – არაეთიკურად გამოიყურებოდა. თუ მაკამების მოთხრობელი, რომელიც მაშინდელი ნორმის თანახმად, მხოლოდ საკუთარი თვალთ ნანახსა და საკუთარი ყურით გაგონილს გვიამბობს, არის გამოგონილი, გამოდის, რომ გამოგონილია ყველაფერი, რასაც ის გვიამბობს. ასეთი შესავლის გამო ალ-ჰარირი გააკრიტიკეს კიდევ (იხ.: ალ-ბაღდადი (+1172), 1929, გვ. 53). შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში სერიოზულად ვერ აღიქვამდნენ პროზაულ ტექსტს, სადაც მოქმედი გმირი ისტორიული (ან სინამდვილეში არსებული) პირი არ იქნებოდა. მოთხრობილ ამბავს უნდა ჰქონოდა რეალობასთან თუნდაც რაიმე სახის კავშირი (Hämeen-Anttila, 2002, გვ. 50).

მაკამების მხატვრულობის მნიშვნელოვან კრიტერიუმად რეალობაში არარსებული გმირები გვევლინებიან. რაკი ავტორი შესავალშივე გვამცნობს გამოგონილი პერსონაჟების თაობაზე, ამით ის აცხადებს, რომ მხატვრულ რეალობას ქმნის. აბუ ზაიდი არა მხოლოდ ცალსახად ფიქციურია, არამედ იმ დროის ლიტერატურისთვის უჩვეულოდ ცოცხალია – არც ცუდია, არც კარგი. ასეთი ლიტერატურული გმირის არსებობა მაშინ, როცა მწერლობა ფოლკლორის გავლენიდან ჯერ კიდევ გამოსული არ იყო, ევროპაშიც კი წარმოუდგენელი გახლდათ. სარაინდო რომანების გაიდუალებურ გმირებს აბუ ზაიდი თავისი რთული, არაერთგვაროვანი ხასიათით დაუპირისპირდა. გარდა იმისა, რომ ბევრი მკვლევარი მას ესპანური პიკაროს / პიკარას უშუალო წინაპრად მიიჩნევს¹, ეს მატყუარა პროტაგონისტი ანტიგმირად სულაც არ აღიქმება. ის ჯერ რაღაცას აშავებს (იტყუება), შემდეგ ნანობს თავის საქ-

¹ არსებობს მოსაზრება, რომ მაკამებიდან წამოვიდა ევროპული პიკარესკული პროზის თაღლითი პერსონაჟი (Abū Haidar, 1974, გვ. 4)

ციელს ან, პირიქით – ჯერ ისლამის პოსტულატებს ქადაგებს და შემდეგ არღვევს მათ. ბოლოსწინა (49-ე) მაკამაში ის თავისნაირი მოხეტიალე თაღლითების სამშობებს ადიდება, ხოლო ბოლო (50-ე) მაკამაში ყველაფერს ინანიებს და ალაჰს პატიებას სთხოვს, რაც არ არის შემთხვევითი. აბუ ზაიდი რთული ფსიქოტიპია – მატყუარაა, მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ ალ-ჰარირის აშკარა სიმპათიაზე მის მიმართ, იგი მკითხველის თანაგრძნობას იმსახურებს. ინგლისელი ორიენტალისტი რ. ნიკოლსონი (1848-1945) აღნიშნავდა: „ავტორი სულაც არ ცდილობს, დაფაროს თავისი უპრინციპო, უსაქმური გმირის საქციელი. აბუ ზაიდის სახე იმდენად ცოცხლად და მომხიბვლელადაა დახატული, რომ ჩვენ მას ადვილად ვპატიობთ სისადაგლეებს“ (Nicholson, 1962, გვ. 337).

ალ-ჰარირიმ აბუ ზაიდის სახით რთული, წინააღმდეგობრივი მხატვრული ტიპაჟი შექმნა. ცხადია, რომ ეპოქამ წარმოშვა ასეთი გმირი. ამიტომაც ის რეალისტური. აბასიანთა იმპერიის დაშლისას მართლაც გამოჩნდა განათლებულ გაღარიბებულთა ფენა, ცოდნით, მჭევრმეტყველებით, სიტყვით გამოსვლითა თუ პოეტურ პაექრობებში მონაწილეობით რომ შოულობდა სარჩოს. გარდა იმისა, რომ აბუ ზაიდი ამ სოციალური ფენის განზოგადებული მხატვრული სახეა, მისი არსებობა ნაწარმოებში პრიმიტიული სოციალური კრიტიკის ნიშნებსაც აჩენს, სოციალური კრიტიკა კი უფრო თანამედროვე პერიოდის მწერლობის მონაპოვარია. მედიევისტურ ლიტერატურაში გმირი ყოველთვის თვითონაა დამნაშავე, გარემო კი – მართალი. აბუ ზაიდი, უარყოფითი თვისებების მიუხედავად, თვითონ კი არ არის ცუდი ადამიანი, არამედ მას რეალობა აიძულებს, იცრუოს, ლუკმა პური მოტყუებით იშოვოს, რადგან სხვა გზა საზოგადოებაში, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე თელავენ ალაჰის მცნებებს, უბრალოდ არ დარჩენია. მისი განათლებულობა არაბული იმპერიის რღვევის პირობებში აღარავის სჭირდება. შემთხვევითი როდია, რომ აბუ ზაიდის თაღლითობის მსხვერპლნი მატყუარა ყადიები, უსამართლო სასულიერო პირები, გაუმაძღარი ვაჭრები, უსინდისო მმართველები არიან. თაღლითი პერსონაჟი თავისი საქციელით შეფარულად სწორედ ამ ინსტიტუციებს უპირისპირდება. ის იმიტომ კი არ იტყუება, რომ თავადაა უპრინციპო ან ამორალური, არამედ იმიტომ, რომ გარემოა უსამართლო. მაკამებში

გარემოა დამნაშავე, არა ადამიანი!¹ აქ სოციალური კრიტიკის ჩანასახი დასავლურ რომანზე ადრე ჩანს. ამიტომაცაა, რომ ჯ. თ. მონროუ მაკამებს განიხილავს როგორც პრე-რომანულ ჟანრს (Monroe, 2002 გვ. 11). ამ ფაქტს შუა საუკუნეებში პროგრესულ ლიტერატურულ მოვლენად ვერავინ აღიქვამდა. ამგვარად მიიჩქმალა ალ-ჰარირის მაკამების როგორც მხატვრული ძეგლის ღირსება. ის ცარიელ ფორმად წარმოჩინდა, სადაც არაბულს ყველაფერი ძალუძს. ეს ძეგლი მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში – მე-20 და 21-ე სს-ის გადასახედიდან, მედიევისტურ კონტექსტში მეცნიერული შესწავლისას შეფასდა და დაფასდა როგორც შუა საუკუნეების გამორჩეული ფიქციური თხზულება, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე ხელოვნური ენით გადმოცემული, შეგონებებით და ყურანიდან მოხმობილი ციტატებით გაჯერებული მატყუარა გმირის ამბავი (Drory, 2000, გვ. 15).

როდესაც მ. კუპერსონი წერს ფრაზას: „მაკამების ტექსტი კი არ შეიცავს ვერბალურ პერფომანსს, არამედ თვით მაკამებია ეს პერფორმანსიო“ (Cooperson, 2020, გვ. XXVI), ნათელი ხდება, რომ ალ-ჰარირის ნაწარმოებს ის ისევე აფასებს, როგორც მწერლის თანამედროვენი აფასებდნენ – ვერც ისინი ხედავდნენ სხვა ღირსებებს მაღალფარდოვანი ენის გარდა.² შესაძლოა, შუა საუკუნეების ფილოლოგებს, მე-17-მე-19 სს-ის ევროპელებს ვერ დაენახათ მაკამების პროგრესულობა, მაგრამ წესით, 21-ე ს-ის მკვლევარს მათში მხოლოდ ალ-ჰარირის ლინგვისტური ვირტუოზობა არ უნდა განეჭვრიტა. 2020 წელს გამოსული წიგნის წინასიტყვაში, ინტერვიუებსა თუ გამოსვლებში კუპერსონის მიერ გამოთქმული არაერთი შეხედულება მიუთითებს არა მხოლოდ იმაზე, რომ მისი აზრით, ავტორის ერთადერთი მიზანი სიტყვის ზეიმის მოწყობაა, არამედ იმაზეც, რომ არაბული ორიგინალის მთავარ

¹ თუკი პიკარესკული თხზულებებიდან ამოზრდილი „დონ კიხოტი“ ევროპული რომანის საფუძვლად მიიჩნევა, მაკამებში ჩანასახის სახით უთუოდ არის ის, რამაც დასავლეთი რევოლუციებამდე მიიყვანა და რაც სერვანტესთან უკვე კარგად, ჩამოყალიბებული ფორმით ჩანს. ესაა პროტესტი – იმ სოციალური ინსტიტუტების გამიზნული კრიტიკა, რომელთა შორის პიროვნება იჭყტიტება. სერვანტესს იმის თქმა სურდა, რომ ადამიანი კი არ უნდა მოერგოს და დამორჩილდეს გარემოს, არამედ უნდა შეიცვალოს მისი შემზღვრავი სოციალური პირობები. თითოეულ პიროვნებას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება. „შეცვალე სისტემა!“ – ეს დაინახეს მის შემოქმედებაში დიკენსმა, ბალზაკმა და სხვა ევროპელმა რომანისტებმა (Monroe, 2002, გვ. 18).

² მედიევისტურ ანთოლოგიებში „მაკამების“ ხსენებისას ტერმინი „მხატვრული ჟანრი“ კი (الجنس، النوع) არსად გამოიყენება. ის განმარტებულია, როგორც „ლიტერატურული ამბავი“ (الحديث الادبي) ან „იმპროვიზაციის ნაყოფი“ (ثمره الارتجال) (ას-სა‘ალიბი, 1983)

ღირებულებად მას სწორედ ის „რიტორიკული ფოიერვერკი“ მიაჩნია, რის გადმოტანასაც თავის ენაზე ცდილობს.

ახალი ინგლისური თარგმანისთვის წამმღვარებული წინასიტყვებიდან ირკვევა, რომ არც მთარგმნელი (Cooperson, 2020, გვ. XXV) და არც შესავლის ავტორი, მაროკოელი მედიევისტი აბდელფათაჰ ქილიტო (Kilito, 2020, გვ. XII) მაკამების მთავარ გმირს რეალისტურ პერსონაჟად არ აღიქვამენ. ქილიტოსთვის აბუ ზაიდი არის ცვალებადი ბედისწერის მეტაფორა, რადგან ის მუდმივად იცვლება (სხვადასხვა მაკამაში მართლაც სხვადასხვა ფორმაშია გადაცემული), ხოლო კუპერსონისთვის აბუ ზაიდი თავად არაბულია. არც ერთი მათგანისთვის მაკამების გმირი არ არის იდენტობის მატარებელი ადამიანი, პიროვნება. მათ აღქმაში ის იმპერსონალურია, სიმბოლოა. მთარგმნელს ყურადღების მიღმა რჩება მთავარი პერსონაჟის მთავარი ხიბლი – მისი დუალიზმი, შინაგანი გაორება. ქილიტოსთვის მაკამების რეალური გმირი *ადაბია*¹, რადგან აქ ლიტერატურის მოყვარული ორი მთავარი პერსონაჟი ეძებს და წარმოაჩენს მხატვრულ სიტყვას (Kilito, 2020, გვ. XIII), კუპერსონისთვის კი მთავარი გმირი არის ენა (Cooperson, 2020, გვ. XXIX). ქილიტოს მოჰყავს მაკამების ერთ-ერთი არაბი კომენტატორის სიტყვები, თითქოს სახეცვლილების მოყვარული აბუ ზაიდი „ბედისწერის რეინკარნაციას“ განასახიერებს.² კუპერსონიც და ქილიტოც, ცდილობენ რა, რომ ავთენტურ კონტექსტში წაიკითხონ მაკამები, სწორედ იმ შუა საუკუნეების ფილოლოგებს ეყრდობიან, რომლებმაც ეს თხზულება მხატვრულ ტექსტად ვერ აღიქვეს. შესაბამისად, ისინი ცდილობენ სხვადასხვა სიმბოლური თუ სქემატური დატვირთვა მიანიჭონ არა მარტო პერსონაჟებს, არამედ შუა საუკუნეებისთვის ასე ბუნებრივ ეპიზოდურ სტრუქტურასაც. ქილიტო შენიშნავს, რომ არა მარტო გმირის სახეცვლილება, არამედ შინაარსობრივად ერთმანეთთან დაუკავშირებელი ამბებიც ბედისწერის არაერთგვაროვნებას წარმოაჩენს (Kilito, 2020, გვ. XII). არადა, ციკლურ ფორმას (ანუ ეპიზოდურ / ჩარჩოვან სტრუქტურას) – ერთმანეთთან კავშირის არმქონე ეპიზოდების ერთობლიობას შუა საუკუნეებში საკმაოდ რეალისტური საფუძველი ჰქონდა, რასაც შესანიშნავ სტატიას უძღვნის უაქსი (Wacks, 2003, 180). მაკამებში (და არა მარტო) ციკლური ფორმის არსებობა კონ-

¹ ადაბი (არაბ. *ლიტერატურა*) – შუა საუკუნეების კანონიკური არაბული ლიტერატურა

² პერსონაჟის მეტამორფოზა, მისი ვერცხობის შემთხვევები ანტიკურ ლიტერატურაშიც გვხვდება.

კრეტულმა ყოფითმა მიზეზმა (ნაწარმოების ზეპირად თხზვისა და კითხვის ტრადიციამ და გამოცდილებამ) განაპირობა და არა იმან, რომ ავტორს ამით ცვალებადი ბედისწერის წარმოჩენა სურდა.¹

ამერიკელი მთარგმნელისთვის მაკამებში მთავარი არის ენა, მაგრამ საიტერესოა მისი ამ ენასთან დამოკიდებულების საკითხიც. მართალია, კუპერსონი აღიარებს, რომ აბუ ზაიდის სრულყოფილი ენის ცოდნა შეუძლებელია და სრულიად მოხიბლულია მისით (ჯ. პალმერის ინტერვიუ კუპერსონთან, 25.05.20) მაგრამ იმასაც წერს, რომ მთავარი პერსონაჟი ყურანის, *ჰადისების*, რელიგიური ტექსტებისა თუ რიტუალების წმინდა ენით იტყუება, რაც მის ქადაგებას არადამაჯერებელს ხდის (Cooperson, 2020, გვ. XXIV). ვფიქრობ, მაკამის კულმინაციური ნაწილი, მთავარი გმირის ქადაგება, რომელიც ისლამური სენტენციებითაა გაჯერებული, სავსებით დამაჯერებელია:

„სიკვდილის ჟამს ვერას გიშველის შენი სიმდიდრე და იმქვეყნადაც არას გარგებს ბევრი ქონება. როდესაც ფეხი დაგიცდება, მონანიება გვიან იქნება. ამაოდ ელი განკითხვის დღეს თანაგრძნობას ახლობლებისა თუ მეგობრების. ო, ნეტავ, სწორ გზას დადგმობდი, უსამართლობას შებრძოლებობდი, თავი განგეკურნა მანკიერებისგან. შენი ჭაღარა სასტიკი გაფრთხილებაა, მრისხანე შეტყობინებაა. სად უნდა ნახო შეწყალება ან პატიება?! სამარე შენი განსასვენებელი ადგილია და რა იქნება შენი სიტყვა ან ვინ იქნება ქომაგი შენი, მოსარჩლე, როცა ალაჰთან მიხვალ? და თუკი ბედმა გამოგაღვიძა, იჩქარე, თავს ნუ მოიმძინარებ. ყური მუგდე შენ ქადაგებას, ჭეშმარიტებას თვალს ნუ უხუჭავ. სიკვდილს არ სძინავს, მას ნუ ივიწყებ, კაცთმოყვარება გამოიჩინე. ფულს კი აგროვებ, ღვთის სახელი დაგვიწყებია. ძვირფას ძღვენს შენთვის ლოცვზე უფრო მეტი ფასი აქვს. ძვირიან მზითევს აჩევ ნამდვილს შენ მეგობრობას და ტოლ-სწორებთან ლაზღანდარობას ყურანზე მეტად გაუტაცნიხარ...“ (სანას მაკამა, დოლიძე, 2010, გვ. 147).

¹ შუა საუკუნეებში თანაარსებობდა წერითი და ზეპირი ლიტერატურა, რის გამოც წერილობითი ძეგლები ზეპირსიტყვიერების გავლენას განიცდიდა. რაკი წერა-კითხვა მასიურად გავრცელებული არ იყო, ეწყობოდა ნაწარმოებების საჯაროდ კითხვა. კითხვის პროცესი ნებისმიერ დროს შეიძლებოდა შეწყვეტილიყო. მომდევნო შეხვედრისას შეკრებილ საზოგადოებას ამბის გაგრძელება უნდა მოესმინა, მაგრამ თუ წინა შეკრებას ვერ ესწრებოდა, მაინც ყველაფერი უნდა გაეგო. ამ სავსებით რეალისტურმა მიზეზმა განაპირობა ეპიზოდური სტრუქტურის (resp. ჩარჩოსებრი ფორმის) ჩამოყალიბება, რაც არაერთ მედიევისტურ წერით ძეგლში გვხვდება.

კომპოზიციური თვალსაზრისით მაკამების კულმინაციურ ნაწილს – მთავარი გმირის სიტყვით გამოსვლას შუა საუკუნეების მსმენელი აღიქვამდა, როგორც დიდაქტიკას, სწამდა კიდეც მისი. ავტორი ნაწარმოების აღმზრდელობითი ფუნქციის შესახებ თავად აღნიშნავდა პროლოგში. რთულია, კუპერსონს დავეთანხმოთ იმაში, რომ ღვთის ენის ტყუილისთვის / სხვის მოსატყუებლად გამოყენების ფაქტი მთავარი გმირის ქადაგებას რაიმე ფორმით ეჭვქვეშ აყენებს. საქმე ისაა, რომ ამგვარი კონტრასტით გმირის სიტყვასა და მისსავე საქციელს შორის ავტორს იმ უფსკრულის ჩვენება სურდა, რელიგიურ მორალსა და ადამიანთა საზოგადოებას შორის რომ გაჩნდა. ეს ის უფსკრულია, იმპერიის რღვევის პირობებში რაციონალურად დადგენილ ეთიკურ იდეალებსა და მერყევ რელობას შორის რომ წარმოიშვა. არაბულს აღიქვამდნენ წმინდა და შეულახავ ენად ღვთისა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მე-12 ს-ში მის მიმართ აგდებული დამოკიდებულება გაჩენილიყო. ალ-ჰარირის რომ ჰქონოდა კიდეც ასეთი განზრახვა, იმ ეპოქის მსმენელი ვერ აღიქვამდა ამას. რატომ იტყუება მთავარი პერსონაჟი ღვთის ენით? თუკი კვლავ ბერკლის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორ მონროუს მოვიშველიებთ, აბუ ზაიდი გვასწავლის უარყოფითი მაგალითით (Monroe, 2002, გვ. 10). მისი ქადაგება ნამდვილიცაა და დამაჯერებელიც, მაგრამ ის სწორედ იმას აკეთებს, რისი გაკეთებაც მორალის კუთხით აკრძალულია.¹

ძნელია ამერიკელ მთარგმნელს დავეთანხმოთ იმაში, რომ თითქოს ალ-ჰარირის მიზანი მხოლოდ ხმაურიანი ლინგვისტური ფოიერვერკის მოწყობა იყო (Cooperson, 2020, გვ. XXIX). მჭევრმეტყველება იმ ეპოქის ნორმა გახლდათ და, ბუნებრივია, მას მაკამების ავტორიც ემორჩილებოდა. მწერლისთვის ენობრივი სამკაულების უხვად გამოყენება თვითმიზანი კი არა, საშუალება იყო რეალობის კრიტიკული მხატვრული სურათის შესაქმნელად. მაკამების რუსულად მთარგ-

¹ მონროუ აკვირდება მაკამებში პროზისა და პოეზიის ფუნქციებს და ასკვნის, რომ თუ ყურანში ჭეშმარიტება გართიმული პროზითაა გადმოცემული, ხოლო პოეტი სიმართლის არმთქმელადაა გამოყვანილი, მაკამებში კი პირიქითაა – ტყუილი დაკავშირებულია საჯ'თან, ხოლო სიმართლე, შეგონება, მთავარი გმირის მხილება – ლექსთან. მონროუს აზრით, მაკამებში საბოლოო ჯამში ყურანი კანონიკურადაა აღიარებული. მკვლევარი რელიგიური ტექსტების მოხმობაში კი არ ხედავს ავტორისეულ ირონიას, არამედ გმირის სიტყვასა და მისსავე საქციელს შორის არსებულ განსხვავებაში. ირონიას პოეზიით გადმოცემული „ვითომ სიმართლე“ (Monroe, 2002, გვ. 10). საგულსხმოა, რომ პრიმიტიული სოციალური კრიტიკაც მაკამებში ირონიის გზით მიიღწევა.

მნელმა ა. დოლინინამ საგანგებოდ შეისწავლა ტექსტის კომპოზიცია და გააკრიტიკა აზრი, თითქოს ალ-ჰარირის ნაწარმოებში მთავარი არის სიტყვაკაზმულობა. დოლინინამ ცილკში შემავალი ნოველები თაღლითურ და რიტორიკულ მაკამებად დაჰყო და დაასკვნა, რომ რიტორიკულ მაკამებს უფრო მარტივი კომპოზიცია აქვთ და წყობის უბრალოება ენის მაღალფარდოვნებით კომპენსირდება, თაღლითურ მაკამებში კი ლექსიკა არ არის მძიმე და ჩახლართული, მაგრამ შედარებით რთულია სიუჟეტი, კომპოზიციური წყობა. აქედან გამომდინარე, დოლინინა აცხადებს, რომ მაკამების შემთხვევაში მთავარი მიზანი სიტყვის გამომზეურება არ ყოფილა და არ შეიძლება მჭევრმეტყველება ჟანრის მთავარ ფუნქციად მივიჩნიოთ. ეს არის მხოლოდ საშუალება (Долинина, 1987, გვ. 12). ამავე აზრისანი არიან ფილშტინსკი (Фильштинский, 1971, გვ. 212), ბლაშერი (ბლაშერი 1989, გვ. 5), ნიკოლსონი (Nicholson, 1962, გვ. 305), რუმდი ჰასანი (ჰასანი 1984, გვ. 72) და სხვ.

მაკამების განსაკუთრებულად გადაპრანჭული ენა ევროპელებისთვის იმთავითვე მიუღებელი და გაუგებარი იყო. მაღალფარდოვანმა სტილმა განსხვავებული შეფასებები და აზრთა სხვაობა გამოიწვია. თურენანი, რიუკერტი და დე სასი ასეთ სიტყვაკაზმულობას აკრიტიკებდნენ კიდევ, მონროუ და ბიმოუნთი მასში ავტორისეულ ირონიას ხედავდნენ. რიუკერტი თავის შესავალში „მცდარი აღმოსავლური გემოვნების“¹ გამო უხდიდა ბოდიშს მკითხველებს, თუმცა მიუთითებდა, ეს „ნაკლი“ მაკამების იუიმორით ანაზღაურდებაო. რენანი ალ-ჰარირის სიტყვაკაზმულობას კიდევ უფრო მკაცრად კიცხავდა. ზოგის აზრით, ენით ამგვარი მანიპულაციები „აღმოსავლური გემოვნების“ დაცემაზე მიუთითებდა. ერთი სიტყვით, ევროპელებისთვის ეს ჩახლართული ლექსიკა ნაწარმოების ღირსებად კი არა, ნაკლად აღიქმებოდა. ევროპელი შემფასებლები ვერ ხვდებოდნენ იმას, რომ ეს არც ირონია იყო და არც უგემოვნობა. ალ-ჰარირის მოღვაწეობის დროს ახლო აღმოსავლეთში ეს ნორმა იყო, რასაც თავისი ისტორიულ-კულტურული მიზეზი ჰქონდა.² მაკამებში კი მთავარი სულაც არ არის სიტყვაკაზმულობა.

¹ der Falscher Orientalischer Geschmack

² რატომ გახდა შუა საუკუნეების არაბულ სამყაროში მჭევრმეტყველება აუცილებლობა? ჯერ ერთი, მაშინ არაბულს განადიდებდნენ როგორც ღვთის ენას, ხოლო რითმოვანი პროზა, რომელსაც თავიდან წარმართი ქურუმები, შემდეგ კი მუჰამადი იყენებდა თავის ქადაგებებში, იმდენად გავრცელებული იყო, რომ მას სიტყვით გამომსვლელებიც კი მიმართავდნენ; მეორეც, ისლამადელი ეპოქიდან მოყოლებული

მ. კუპერსონი სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს წინამორბედ *ორიენტალისტ* მთარგმნელებს, რომლებიც ადმოსავლური ძეგლების, მათ შორის „მაკამების“, თარგმნისას პირველ რიგში თავიანთი კულტურისთვის ეძებდნენ სარგებელს. ის *ორიენტალისტურ* მიდგომად განიხილავს დამოკიდებულებას, როცა ორიგინალი აღიქმება როგორც მხოლოდ ინფორმაცია ადმოსავლური ცხოვრების წესზე ან ნედლი მასალა ისლამური სოციალური სუბიექტების გასაშიფრად. ამერიკელი მთარგმნელი მოძველებულ, ე.წ. „ინსტრუმენტულ“ წაკითხვას უკუაგდებს, მაგრამ თავად მეორე უკიდურესობაში ვარდება, რადგან შინაარსს უგულვებელყოფს. ნებისმიერი პირველწყაროს წაკითხვა უნდა იყოს ერთსა და იმავე დროს „პოტენციური“ (სტრუქტურაზე ორიენტირებული) და „ინსტრუმენტული“ (შინაარსზე ორიენტირებული). პოსტორიენტალისტურ ეპოქაში, როცა მთავრი ტენდენცია იქით არის მიმართული, რომ არაბთა ხედვა მეტად იქნას გათვალისწინებული, მაიკლ კუპერსონი შუა საუკუნეების ლიტერატორების შეფასებასა და ავთენტიკურ გარემოში გაბატონებულ მოსაზრებებს მეტ ანგარიშს უწევს, ვიდრე თანამედროვე დასავლურ კვლევებს, რომელიც მაკამებს იმ დროისთვის იშვიათ, სოციალური კრიტიკის შემცველ მხატვრულ თხზულებად წარმოგვიჩენს. შედეგად არაბული ძეგლისადმი პატივისცემის მიუხედავად, ორიგინალის ღირსების წარმოჩენაზე მეტად მასაც, ნებისთ თუ უნებლიედ, თანამედროვე გლობალური ინგლისურის, მისი დიალექტებისა თუ სალაპარაკო ენის შესაძლებლობების გამოძეურება გამოსდის. აკი, მიიღო კიდეც ასეთი შენიშვნა ოქსფორდის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორ ვან გელდერისგან: „ამ თარგმანის მკითხველი ინგლისურის შესახებ უფრო მეტს შეიტყობს, ვიდრე არაბულის შესახებ.“ (ნადაფი, ა. ჯ. ინტერვიუ კუპერსონთან, *Arablit*, 11.2021) მართლაც, თუ ინტერნეტში გამოქვეყნებულ რეცენზიებსა და გამოხმაურებებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მკითხველმა ალ-ჰარი-

არაბული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო პოეზია და, ზოგადად, სიტყვა. აბასიანთა ეპოქაში ყოველივე ამას სპარსულ-ელინისტური გავლენაც დაემატა. გამოიკვეთა ერთი მხრივ, სპარსული გავლენა, რომელმაც არაბული მწერლობა ფრაზის მაღალფარდოვნებისკენ და ხელოვნურობისკენ წაიყვანა (ავდი, 1989, გვ. 125), მეორე მხრივ, ელინისტური გავლენა, რაც დიდი რაოდენობით ძველბერძნული ძეგლების არაბულად თარგმანმა განაპირობა. ბერძნების მსგავსად, შუა საუკუნეების არაბ ფილოსოფოსებსაც მიაჩნდათ, რომ საზოგადოების რაციონალურ საწყისებზე გასავითარებლად სიტყვას უდიდესი ძალა, მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გაბატონებულმა მოსაზრებამ მწიგნობრულ სალიტერატურო სტილსაც დაასვა თავისი დალი.

რის მაკამების ახალი თარგმანი მიიღო როგორც მაღალი რანგის ლინგვისტური ნაშრომი და მნიშვნელოვანი შენამენი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში გადარიბებისა თუ დაღუპვის გზაზე მდგარი ინგლისურისთვის.¹ წიგნის შემფასებელნი აღფრთოვანებულნი ჩანან კუპერსონის შემოქმედებითი უნარებით, ხოლო „თაღლითობანი“ ინგლისურის ლინგვისტურ სახელმძღვანელოდ წარმოჩინდება. ამერიკელ მთარგმნელზე ვერ ვიტყვით, რომ ალ-ჰარირის მაკამებს როგორც არაბულ ძეგლს დიდ პატივს არ სცემს, თუმცა მის დამოკიდებულებაში მაინც სჭარბობს ჟინი, თავის ენაზეც მოახდინოს ლინგვისტური სასწაულები – თითქოს ამტკიცებს, გლობალური ინგლისური არ არის ღვთის ენა, მაგრამ მასაც ბევრი რამ შეუძლიაო.

დასაფასებელია, რომ კუპერსონმა მთელი ინგლისურენოვანი სამყაროს ყურადღება მიაპყრო ამ გამორჩეულ კლასიკურ არაბულ ნიმუშს, რომლის შესახებაც ფართო მკითხველს და არასპეციალისტ საზოგადოებას ბევრი არაფერი სმენოდა. თარგმანმა პრესტიჟული ამერიკული² და არაბული³ ლიტერატურული ჯილდოებიც სამართლიანად დაიმსახურა. კუპერსონის თარგმანი ეგზოტიზაცია ნამდვილად არ არის. პოსტორიენტალიზმის ხანაში ეს არის საკმაოდ აქტუალური, გულწრფელი მცდელობა მთარგმნელ ენაზე აღმოსავლური ორიგინალის სულის გადმოტანისა, მაგრამ ამერიკელ მთარგმნელს არაბული ტექსტის მხოლოდ ერთი მხარე აქვს წინ წამოწეული და ეს გახლავთ ენობრივ-ლინგვისტური მხარე, რაშიც ხედავს კიდევ ყველაზე არსებითს – ორიგინალის სულს. გასაგებია, რომ ის მონაწილეობს პროექტში, რომლის მიზანი არაბული ლიტერატურის პოპულარიზაციაა.

¹ იხ.: Chovanec, M., Learning the proper posture to become an internet imposter while reading Imposters, Culture/Book Review, Mada, June 3, 2020.

² „თაღლითობანი“ გახდა ამერიკის გამომცემელთა ასოციაციის (The Assosiation of American Publishers) მთავარი ჯილდოს მფლობელი. 2021 წლის 31 იანვარს 45-ე ყოველწლიურ დაჯილდოვებაზე 23 კაცინამა ჟიურიმ 45 კატეგორიაში 125 ფინალისტი გამოავლინა. მათ შორის კუპერსონის თარგმანი გახდა საუკეთესო პროზაული ნამუშევარი. წიგნი მოხვდა ამერიკული ლიტერატურული თარგმანის ასოციაციის (ALTA – The American Literary Translations Association) მოკლე სიაშიც. ამერიკულმა Open Letters Review-მ ის 2020 წლის 10 საუკეთესო თარგმანს შორის პირველ ადგილზე დაასახელა.

³ 2020 წელს მეთხუთმეტედ გაიკა სხვადასხვა კატეგორიაში შეიხ ზიადის პრესტიჟული ჯილდო. საემიროების პრინცის მიერ დაწესებულმა ერთ-ერთმა საუკეთესოდ დაფინანსებულმა ფონდმა კუპერსონის ნამუშევარი წლის გამარჯვებულ თარგმანად დაასახელა.

პოპულარობას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუკი მიმღები აუდიტორიისთვის მისაღებად, მოსაწონად შეასრულებს თარგმანს და ეს ისევე ალ-ჰარირის პოპულარობას ემსახურება, მაგრამ არსად ჩანს, რომ მაიკლ კუპერსონი აფასებს ორიგინალს არა მხოლოდ ენობრივ-ლინგვისტური, არამედ მხატვრული ღირებულების თვალსაზრისითაც. ძეგლის ინტერპრეტაციისას ის ნაკლებად ითვალისწინებს მის შინაარსობრივ მხარეს, ტექსტის როგორც ფიქციური ნიმუშის ღირსებებს, ბოლომდე ვერ აღიქვამს პერსონაჟს, მის ხასიათს, არ კითხულობს მაკამებს, როგორც შუა საუკუნეებისთვის პროგრესულ ლიტერატურულ მოვლენას, სადაც ხატოვანი ენა მხოლოდ საშუალებაა ეპოქის რეალისტური მხატვრული სურათის გადმოსაცემად. ის არსად აფასებს ნაწარმოებს როგორც ტექსტს, სადაც არაბული იმპერიის რღვევის ურთულესი პერიოდია მხატვრულად ასახული და არც ერთგან წერს მაკამებზე, როგორც სატირულ ნაწარმოებზე, რომლის დამრიგებლურ ტონსა და დიდაქტიკურ შეგონებებს მიღმა საზოგადოების კრიტიკა დგას. კუპერსონისთვის მაკამები არაბული ენის ზეიმი, მაგრამ არა პრე-რომანული თხზულება, საუკუნეებით რომ დაასწრო ევროპულ რენესანსულ პიკარესკულ რომანს ფიქციური რეალობის შექმნის მცდელობით, განზოგადებული, არაცალსახა ტიპაჟების ხატვით, პრიმიტიული სოციალური კრიტიკით (დოლიძე, 2012, გვ. 139-158).

ალ-ჰარირი არც განსაკუთრებულად კარგი პოეტი იყო, არც დიდი იმპროვიზატორი, თუმცა მისი მაკამები, როგორც თვით ენის ზეიმი, იქცა იმ საჯილდაო ქვად, რომელსაც სხვადასხვა ეპოქაში საკუთარი ენის შესაძლებლობების გამოსაცდელად თუ გამოსავლენად ეჭიდებოდნენ. პოსტორიენტალისტურ ხანაშიც ალ-ჰარირის თხზულება რჩება უნიკალურ ტექსტად, რომლის თარგმნითაც შესაძლებელია შექმნა ლინგვისტური ზეიმი. ამჯერად ეს გახლავთ გლობალური ინგლისურის ზეიმი. მ. კუპერსონი მაკამების როგორც არაბული კულტურული მიღწევის წარმოჩენის სურვილით წინამორბედ მთარგმნელებზე მაღლა დგას, თუმცა მისი თარგმანიც მოშინაურებაა. „თაღლითობანი“ მოშინაურებაა არა იმის გამო, რომ მთარგმნელი ქედმაღალია და ორიგინალის ღირსებებს ჩქმალავს ან არაფრად აგდებს, არამედ იმიტომ, რომ ის ვერ ხედავს ან ვერ აცნობიერებს მათ. „თაღლითობანი“ მოშინაურებაა არა იმიტომ, რომ მთარგმნელი იდეოლოგიური წნეხის ქვეშაა, არამედ იმ მიზნით, რომ მაკამები მიმღებ კულტურულ სივრცეში პოპულარული გახდეს და კარგად გაიყიდოს. 2020 წელს გამოცემული უახლესი თარგმანი უდავოდ საინტერესოა, თუმცა არც ისაა

ორიგინალის სრულყოფილი მხატვრული ადეკვატი. პრობლემა არა იმპროვიზებაში ან იმიტირებაშია, არამედ დედნის არასწორ წაკითხვასა და ინტერპრეტაციაში. სათარგმნი ტექსტისადმი დამოკიდებულებაში თვალნათლივ აისახება ესა თუ ის ეპოქა. ჩვენს დროში დასავლეთის უპირატესობის შეგრძნება ნამდვილად აღარ იკვეთება, თუმცა მთარგმნელი მაკამების წაკითხვისას არაზუსტ აქცენტებს სვამს, რის გამოც ორიგინალის მნიშვნელოვან შტრიხებს კარგავს. კუპერსონისთვის შინაარსი სრულიად უმნიშვნელოა. ფაქტობრივად, ის მხოლოდ ფორმას თარგმნის. გარდა ამისა, არასწორად აღიქვამს ნაწარმოების ეპიზოდურ სტრუქტურას, ენის ფუნქციას და სხვ. მე-12-მე-13- სს-ის ირანელ, ებრაელ მთარგმნელებს არც ჰქონიათ მიზნად, ორიგინალის სულს ჩასვწოდოდნენ. ევროპელმა მთარგმნელებმა ეს ვერ მოახერხეს დედნისადმი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო. ისინი სწორად ვერ ხსნიდნენ სიტყვაკაზმულობასაც კი. ვფიქრობ, 2020 წლისთვის შესაძლებელი იყო, მაკამები მხოლოდ ვერბალურ პერფორმანსად არ ყოფილიყო წარმოჩენილი. შედეგად, თარგმანიც გაცილებით ადეკვატური იქნებოდა. თუმცა, ყველა თარგმანს აქვს არსებობის უფლება, მით უფრო, რომ ინგლისურის თვალსაზრისით მაიკლ კუპერსონის ნამუშევარი ნამდვილად გამორჩეულია და მასში თანამედროვე *lingua franca*-ს მრავალფეროვნება უთუოდ ჩანს.

როგორც თავად კუპერსონი აღნიშნავს, არ აქვს პრეტენზია, რომ მისი თარგმანი არის იდეალური. მისივე თქმით, ალ-ჰარირის მაკამები არ არის ნაწარმოები, რომლის თარგმნაც შეუძლებელია, არამედ ეს არის ტექსტი, რომლის თარგმნაც ბევრნაირადაა შესაძლებელი (2019, 13). ყოველთვის საინტერესო იქნება იმაზე დაკვირვება, თუ რა გზით განვითარდება მთარგმნელთა ხედვა – რა იქნება აქტუალური, როგორ აღიქვამენ და პირველ რიგში რის წარმოჩენას შეეცდებიან ისინი არაბული ლიტერატურის ამ უკვდავ ნიმუშში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დოლიძე, ნ. (2010). მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში, თსუ.
- დოლიძე, ნ. (2012). არაბული მაკამა და ესპანური პიკარესკული რომანი (ალ-ჰამაზანის მაკამებისა და უცნობი ავტორის „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრების“ შედარებითი ანალიზი) აღმოსავლეთმცოდნეობა, 1, თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ., 139-158.
- მარგველაშვილი, თ. (1991). ათას ერთი ღამის ქართულად თარგმნის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1.
- Abū Haidar, J. (1974). Maqāmāt Literature and the Picaresque Novel. JAL, 5
- Alharizi, J. (2003). The Book of Tahkemoni. Translated by David Simha Segal, Liverpool: Liverpool University Press.
- Blachère, R. (1989), al-Harīrī. The Encyclopaedia of Islam, Vol. VI, Leiden-New York-Köln: E.J.Brill.
- Drory, R. (1994). Three Attempts to Legitimize Fiction in Classical Arabic Literature, JSAI, 18.
- Drory R. (1999). Maqāma. Encyclopedia of Arabic Literature, Routledge, London & N.Y.
- Drory R. (2000). Models and Contacts: Arabic Literature and its Impact on Medieval Jewish Culture. Leiden-Boston– Köln: E.J. Brill
- Chovanec, M. (2020). Learning the proper posture to become an internet imposter while reading Imposters, Culture/Book Review, Mada, June 3, www.madamasr.com
- Cooperson, M. (2019). Al-Hariri's Impostures as a Canonical Work in Arabic, Hebrew, Persian, German, and (possibly) English, International workshop “Conceptions and Configurations of the Arabic Literary Canon”, June 17-19.
- Cooperson, M. (2020). Note on the Translation, Imposters, by al-Hariri, Translation by Michael Cooperson, NYU Press.
- Hämeen-Anttila, J. (2002). Maqāma – a History of a Genre, Wiesbaden.
- Kilito, A. (2020), Foreword: In Praise of Pretense. Imposters by al-Hariri. Translation by Michael Cooperson, NYU Press.
- Monroe, J.T. (2002). (translator and author of the Introduction), al-Maqāmāt al-luzumīyyah by Abu al-Tahir Muhammad ibn Yusuf al-Tamīmī al-Saraqustī ibn al-Ashtarkuwī (d.538/1143), Leiden-Boston– Köln: E.J. Brill.
- Naddaf, A.J. (2021). Untranslatable – interview with Michael Cooperson, Series of Talks about Classical Arabic Literature, Arablit, 9 November, www.arablit.org
- Nicholson R.A. (1962). A Literary History of the Arabs. Cambridge: Cambridge University Press.

- Palmer, J. (2020), In the Moment (Town Hall's Insider Podcast), Fifty Rogue's Tales Translated in Fifty Ways, Presented by Town Hall Seattle, May 25.
- Rückert, F. (1844). Die Verwandlungen des Abu Seid von Serug oder die Maqāmen des Harīrī, III Aufl., I Bd., Stuttgart and Tübingen.
- de Sacy S. (1822). Les séances de Hariri, publiées en Arabe, avec un commentaire choisi. Paris: Imprimerie Royale
- Said, E.W. (1978), Orientalism, Pantheon Books.
- Venuti, L. (1995). The Translator's Invisibility: A History of Translation, London: Routledge.
- Wacks D. A. (2003). The Performativity of Ibn al-Muqaffa's Kalīla wa Dimna and al Maqāmāt al-Luzumīyah of al-Saraqstī. JAL, 34.
- Борисов В. М. (1987). Абу Мухаммед аль-Харири и его Макаммы, Предисловие. Аль-Харири Макаммы, „Наука“, Москва.
- Долинина А.А. (1987). Реализация Канона в сюжетах и композиции Макам аль Харири, Проблемы арабо-мусульманской культуры. Москва.
- Фильштинский И.М. (1971). Шидфар Б.Я. Очерки арабо-мусульманской культуры, Москва.
- يوسف نور عوض، فن المقامة بين المشرق والمغرب، دار القلم، بيروت، (1989):
 ابن الخشاب البغدادي، الإعتراذ علي الحريري علي مقاماته (1929)
 الحريري، المقامات، دار المصاد، بيروت. (1980)
 الثعالبي، بيتيمة الدهرفي محاسن أهل العصر، دار الكتب العلمية (1983)
 محمد رشدي حسن، اثر المقامة في نشأة القصة المصرية (1984).
 الحديثة، القاهرة
- عبد الفتاح كيليطو، المقامات، السرد و الانساق الثقافية، دار توبقال
 للنشر، الدار البيضاء. (1998).

References:

- Abū Haidar, J. (1974). *Maqāmāt Literature and the Picaresque Novel*. JAL, 5
- Alharizi, J. (2003). *The Book of Tahkemoni*. Translated by David Simha Segal, Liverpool: Liverpool University Press.
- Blachère, R. (1989), al-Harīrī. *The Encyclopaedia of Islam*, Vol. VI, Leiden-New York-Köln: E.J.Brill.
- Borisov V. M. (1987). *Abu Mukhammed al'-Khariri i yego Makamy*. Predisloviye. [Abu Muhammad al-Hariri and his Maqams, Preface]. *Al'-Khariri Makamy*, Moskva: „Nauka“.
- Chovanec, M. (2020). Learning the proper posture to become an internet imposter while reading *Imposters*, *Culture/Book Review*, Mada, June 3, www.madamasr.com
- Cooperson, M. (2019). *Al-Hariri's Impostures as a Canonical Work in Arabic, Hebrew, Persian, German, and (possibly) English*, International workshop “Conceptions and Configurations of the Arabic Literary Canon”, June 17-19.
- Cooperson, M. (2020). *Note on the Translation, Imposters*, by al-Hariri, Translation by Michael Cooperson, NYU Press.
- Dolidze, N. (2010). *Mak'amis zhanri arabul lit'erat'urashi*. [Makam Genre in Arabic Literature]. Tbilisi: tsu.
- Dolidze, N. (2012). *Arabuli mak'ama da esp'anuri p'ik'aresk'uli romani (Al-Hamazanis mak'amebisa da utsnobi avt'oris „lazarilio t'ormeselis tskhovrebis“ shedaribiti analizi)*. [Arabic makama and Spanish picaresque novel (comparative analysis of al-Hamazan's makamas and "Life of Lazarilio Tormeselli" by unknown author)]. *Aghmosavletmtsodneoba*, 1. Tbilisi: tsu aghmosavletmtsodneobis inst'., 139-158.
- Dolinina A.A. (1987). *Realizatsiya Kanona v syuzhetakh i kompozitsii Makam al'Khariri*, *Problemy arabo-musul'manskoy kul'tury*. [Implementation of the Canon in the plots and composition of Maqam al Hariri, Problems of Arab-Muslim culture]. Moskva.
- Drory, R. (1994). *Three Attempts to Legitimize Fiction in Classical Arabic Literature*, *JSAI*, 18.
- Drory R. (1999). *Maqāma*. *Encyclopedia of Arabic Literature*, Routledge, London & N.Y.
- Drory R. (2000). *Models and Contacts: Arabic Literature and its Impact on Medieval Jewish Culture*. Leiden-Boston– Köln: E.J. Brill
- Fil'shtinskiy I.M. (1971). *Shidfar B.YA. Ocherki arabo-musul'manskoy kul'tury*. [Shidfar B.Ya. Essays on Arab-Muslim culture]. Moskva.
- Hämeen-Anttila, J. (2002). *Maqāma – a History of a Genre*, Wiesbaden.

- Kilito, A. (2020), Foreword: In Praise of Pretense. Imposters by al-Hariri. Translation by Michael Cooperson, NYU Press.
- Margvelashvili, T. (1991). Stas erti ghamis kartulad targmnis zogierti sak'itkhi. [Some issues of translation of One Thousand and One Nights into Georgian]. Sakartvelos metsnierebata ak'ademiis matsne, enisa da lit'erat'uris seria, 1.
- Monroe, J.T. (2002). (translator and author of the Introduction), al-Maqāmāt al-luzumīyyah by Abu al-Tahir Muhammad ibn Yusuf al-Tamīmī al-Saraqustī ibn al-Ashtarkuwī (d.538/1143), Leiden-Boston– Köln: E.J. Brill.
- Naddaf, A.J. (2021). Untranslatable – interview with Michael Cooperson, Series of Talks about Classical Arabic Literature, Arablit, 9 November, www.arablit.org
- Nicholson R.A. (1962). A Literary History of the Arabs. Cambridge: Cambridge University Press.
- Palmer, J. (2020), In the Moment (Town Hall's Insider Podcast), Fifty Rogue's Tales Translated in Fifty Ways, Presented by Town Hall Seattle, May 25.
- Rückert, F. (1844). Die Verwandlungen des Abu Seid von Serug oder die Maqāmen des Harīrī, III Aufl., I Bd., Stuttgart and Tübingen.
- de Sacy S. (1822). Les séances de Hariri, publiées en Arabe, avec un commentaire choisi. Paris: Imprimerie Royale
- Said, E.W. (1978), Orientalism, Pantheon Books.
- Venuti, L. (1995). The Translator's Invisibility: A History of Translation, London: Routledge.
- Wacks D. A. (2003). The Performativity of Ibn al-Muqaffa's Kalīla wa Dimna and al-Maqāmāt al-Luzumīyyah of al-Saraqustī. JAL, 34.
- يوسف نور عوض، فن المقامة بين المشرق والمغرب، دار القلم، بيروت. (1989):
 ابن الخشاب البغدادي، الإعتزاد علي الحريري علي مقاماته. (1929) ال-بازل-ال-
 الحريري، المقامات، دار المصاد، بيروت. (1980) ال-
 الثعالبي، يتيمة الدهرفي محاسن أهل العصر، دار الكتب العلمية. (1983) ال-
 محمد رشدي حسن، اثر المقامة في نشأة القصة المصرية. (1984) ال-
 الحديثة، القاهرة
 عبد الفتاح كيليطو، المقامات، السرد و الانساق الثقافية، دار توبقال
 للنشر، الدار البيضاء.